პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 28 (18570) ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ხუთწლედი: წელი მესამე

გაზაფხულს რომ მზად შევხვდეთ

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დათვალიერება

12-13 თებერვალს საქართველოში ეწყობა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის დათვალიერება.

დათვალიერების მიზანია თესვისათვის მანქანების, იარაღის, ყველა სათესი და ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატის ყოველმხრივი და ხარისხიანი მომზადების უზრუნველყოფა, სარემონტო სამუშაოებში ჩამორჩენილი მეურნეობებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაერთიანებებისათვის დახმარების გაწევა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ტექნიკის ხანგრძლივი მუშაობის რეზერვების გამოვლენა.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის განყოფილების უფროსმა გ. აბალაკიძ თქვა:

— მიმდინარე წლის დავალებათა რეალიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის, ისინი კი ახლა განსაკუთრებით რთული და მრავალმხრივია, გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ტექნიკას. იმისათვის, რომ მანქანებმა და იარაღებმა ზუსტად, შეუფერხებლად იმუშაოს, საჭიროა უკვე ზამთრის პერიოდში აღმოვფხვრათ უწესივრობანი, შევცვალოთ კვანძები და აგრეგატები. ერთი სიტყვით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სათესმა და ნიადაგის დასამუშავებელმა აგრეგატმა მომავალი გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბაროს. ამისათვის კი საჭიროა გავაუმჯობესოთ სარემონტო სამუშაოები. საკმარისია დავასახელოთ, მაგალითად, ბორჯომის, თელავის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, ვანის, საჩხერის, ამბროლაურის, ცხაკაიის, ხობის, ჩხოროწყუს და ლანჩხუთის რაიონები, აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც ტრაქტორების მომზადების დონე დაბალია.

სათესი მანქანების რემონტის დავალებანი ვერ შეასრულეს ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ყვარლის, სამტრედიის, თერჯოლის, ცხაკაიის, ხობისა და სხვა რაიონების მეურნეობებმა.

უნდა ვაუმჯობესდეს კულტივატორების, გუთნების, ტრაქტორის მისაბმელების მომზადებაც.

ნელია სარემონტო სამუშაოების ტემპი როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, ისე სოფლტექნიკის სახელოსნოებშიც. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება შეიქმნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში. საქსოფლტექნიკის სოხუმის გაერთიანებაში, მაგალითად, გასული წლის მეოთხე კვარტალში ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებას დააკლდა 20 პროცენტი, ოჩამჩირისას — 50, გუდაუთისას — 30 პროცენტი.

სამხრეთ ოსეთის მეურნეობები რემონტის ტემპში 27 პროცენტით ჩამორჩებიან საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

აი რატომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა ახლანდელ დათვალიერებას, დათვალიერების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მოწყობისათვის ადგილებზე იქმნება კვალიფიციური სპეციალისტებისა და მექანიზატორებისაგან შემდგარი სპეციალური სამუშაო კომისიები.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სამინისტროსა და რესპუბლიკის საქსოფლტექნიკის ხელმძღვანელები, სპეციალისტები და მეცნიერები.

გეგმის გადამეტებით

ტყიბული. (ხაკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ქალაქის ზონის მეცხოველეთა პირობა იყო იანვარში სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 93 ცენტნერი ხორცი. ტყიბულელებმა სიტყვა ვადამდე შეასრულეს, 25 იანვრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 101 ცენტნერი ხორცი.

ხორცის დამზადებაში თავი გამოიჩინეს ორპირის, საწირის, ციხის, კურსების და ზონის სხვა კოლმეურნეობებმა.

საწირის კოლმეურნეობის წევრმა შ. გუბელაძემ 388 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს, გურნელმა გ. ხერხაძემ — 340 კილოგრამი, ხოლო ჯვარისელმა უ. გიორგაძემ — 240 კილოგრამი.

წელს ტყიბულის ზონის საზოგადოებრივი მეურნეობები და კოლმეურნეობების წევრები 1300 ტონა ხორცს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

დაცვიცვათ სახელშეკრულებო დისციპლინა

ბევრი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა 1983 წელი აღმავლობით დაიწყეს. იზრდება წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, მაღლდება მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მტკიცდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა. ყურადღების ცენტრში მოექცა ახალი ტექნიკის დანერგვასთან, რეზერვების ძიება-გამოვლენასთან, ნედლეულის, მასალების, საწვავის და ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხები.

ერთი სიტყვით, მთელი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთერმეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის. რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოვის სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგთა კოლექტივების თაოსნობას „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით“ და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისგან, ყველგან და ყველაფერში!“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ მთავარია დაჩქარდეს მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის მუშაობა. ამისათვის კი საჭიროა დავიცვათ მეელი რიგი ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული პირობები, რომელთაგანაც წინა პლანზეა მომხმარებლისათვის ვალდებულებით გათვალისწინებული ნომენკლატურის პროდუქციის დროული მიწოდების საკითხი, ანუ სახელშეკრულებო დისციპლინა.

მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა მკაფიოდ განმარტა, თუ დღეს ასე მწვავედ რატომ დაისვა შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. მან, კერძოდ, თქვა: „უწინარეს ყოვლისა ეს ცხოვრების მოთხოვნაა. იმიტომ, რომ თუ სათანადო დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა არ გვექნა, სწრაფად ვერ ვიელით წინ“.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის სიტყვაში თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე 1983 წლის 10 იანვარს აღნიშნა, რომ „რესპუბლიკის თითქმის ყოველი მესამე საწარმო ვერ ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ხოლო გასულ წელს დაკლებული პროდუქციის მოცულობამ 300 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მრეწველობაში აღრიცხულია სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ათი ათასზე მეტი შემთხვევა“.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანს მიწოდების დისციპლინის დარღვევა დამახასიათებელი გახდა რესპუბლიკის კვების, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებისათვის. მდგომარეობა უკეთ არც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშია. მათ წილად მოდის დაკლებული პროდუქციის მთელი მოცულობის 40 პროცენტი.

შარშან სახელშეკრულებო ვალდებულების გათვალისწინებით ჩვენი რესპუბლიკის 803 საწარმოს (გაერთიანებას) უნდა მიეწოდებინა პროდუქცია ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციისათვის. ეს ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების, კომბინატების, გაერთიანებების 83,8 პროცენტს შეადგენს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ახლებურად მუშაობის სისტემაზე, წმინდა პროდუქციის აღრიცხვაზე გადავიდა საწარმოთა აბსოლუტური უმეტესობა, მაგრამ მდგომარეობა სახელშეკრულებო დისციპლინის შესრულების მიმართულებით არ უმჯობესდება. საქმე ის არის, რომ იმ 803 საწარმომ, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებით არიან დაკავშირებული, სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მთლიანი პროდუქციის რეალიზაციის შარშანდელი გეგმა თუმცა გადაჭარბებითაც შესრულა, მაგრამ ვალდებულებით ნავარაუდევი ნაწარმის მიწოდების დავალებას მხოლოდ 96,4 პროცენტით გაართვა თავი. 251 საწარმომ დააღალატა მომხმარებელი, გაუცრუა მას გეგმის შესრულების იმედი. ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ამ მხრივ ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვმა შარშანწინდელთან შედარებით არ იკლო.

როგორც აღინიშნა, დისციპლინის დარღვევა დამახასიათებელი გახდა რესპუბლიკის კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებისათვის. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ვალდებულების შესრულებით ვერც სხვა ორგანიზაციები დაიკვეხნიან. მონოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროს 17 და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 11 საწარმო, ხეტყისა და ხის დამამუშავებელი სამინისტროს 12 და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს 16 საწარმო, „სამტრესტის“ 16 და „საქართველოს ჩაის“ 8 საწარმო, ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია.

მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან სწრაფი ტემპით ვითარდება ეკონომიკის წამყვანი დარგი — მრეწველობა. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებმა, კომბინატებმა და საწარმოო გაერთიანებებმა წარმოების რეკონსტრუქციის, დანადგართა მოდერნიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად საგრძნობლად გაადიდეს პროდუქციის გამოშვება და გაუმჯობესეს მისი ხარისხი. ამიტომ ჩვენს საწარმოებთან ქვეყნის ასობით ორგანიზაცია აფორმებს ხელშეკრულებას პროდუქციის მიწოდების თაობაზე. ორ საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულება ოფიციალური დოკუმენტია და, ცხადია, კანონის ძალას იძენს. ორგანიზაცია, რომელიც დაღალატებს მომხმარებელს, თვითონ ზარალდება. მატერიალურად ჯარიმის სახით, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. არანაკლებ ზარალს განიცდიან უშუალოდ მომიჯნავენი, საბოლოოდ კი — მთლიანად სახალხო მეურნეობა.

არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ერთი საწარმოს მიერ გამოწვეულმა მიწოდების დისციპლინის დარღვევამ შეიძლება ათობით საწარმოს შეუკრას ხელი. ორგანიზაციას, რომელიც თქვენს ნაწარმს ელოდება, თავის მხრივაც ჰყავს მომიჯნავე, რომლის ნახელავსაც, ვინ იცის, კიდევ რამდენი შეჰყურებს იმედის თვალით. ასე რომ, სახელშეკრულებო ვალდებულების დაუცველობა, ამ საკითხისადმი უნყებრივი მიდგომა დანაშაულია!

სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა ჩვენი ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირების საარსებო და აუცილებელი პირობაა. პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შესრულება და ნომენკლატურით მომხმარებლისთვის ნაწარმის აუცილებელი და დროული მიწოდება სამინისტროთა ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს. იგი ყოველთვის უნდა იყოს პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში.

თქმა არ უნდა, პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შესრულება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ამ პირობის დაცვა სხვა მრავალ სამეურნეო ფაქტორს ეყრდნობა. თუ არ შესრულდა წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვის, რენტაბელობის გადიდების, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვის, ფონდუკუგების და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გეგმები, ვერ მივაღწევთ უმაღლეს საბოლოო შედეგებს. სხვანაირად ზედმეტია სახელშეკრულებო დისციპლინაზე ლაპარაკი.

იმისათვის, რომ არ დავაღალატოთ, არ შევრცხვეთ მომხმარებლის წინაშე, არ შევლახოთ საწარმოსა და მისი პროდუქციის მარკის პრესტიჟი, დღეიადაგ უნდა ვიბრძოლოთ ნაწარმის გამოშვების გეგმის სანიმუშო შესრულებისათვის, რიტმული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის, კარგი ფინანსური მდგომარეობისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ბრიგადული იჯარის დანერგვისათვის, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებისათვის, მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმისათვის.

მეთერმეტე ხუთწლედის შუაგული წელი ძალას იკრებს. ამ წელმა ბევრად უნდა განსაზღვროს, თუ როგორ შევასრულებთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

შეგნებული დისციპლინა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის ბერკეტია

ჩვენი წარმოების ყველა რგოლში უნდა იგრძნობოდეს დისციპლინის ამაღლების სიკეთე. ჩვენ გვჭირდება შეგნებული, მუშური დისციპლინა, ისეთი, რომელიც დააწინაურებს წარმოებას. საჭიროა, დისციპლინისათვის ბრძოლას შთავბეროთ დიდი შინაარსი, დავუკავშიროთ იგი უშუალოდ საწარმოო დავალებათა შესრულებას.

მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებულმა ამ და სხვა მითითებებმა, დებულებებმა და დასკვნებმა განსაზღვრეს შინაარსი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფეხურველების სკოლის მეცადინეობისა, რომელიც, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ჩაატარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამ სკოლის მსმენელები — კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირები, წარმოების ნოვატორები, ისევე როგორც ელმავალმშენებლთა მთელი კოლექტივი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს პარტიის კურსს — ყველგან და ყველაფერში ფიზიკურად ეფექტური ეკონომიკურ ეფექტებს ეფუძნებიან. ეს მუშური მხარდაჭერა ნათლად ვლინდება საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე სამრეწველო საწარმოს საქმეებში. 1982 წელს კოლექტივმა თავისი არსებობის 25 წლის იუბილეის მანძილზე პირველად გიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში და მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით მოიპოვა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

„თემქ“-ის მარკიანი სამი ათასი მაგისტრალური ელმავალი გამოვიდა საწარმოს ჭიშკრიდან. მიმდინარე წლის იანვარში მათ კიდევ თორმეტი შეემატა. სულ კი ხუთწლედის მესამე წელს ელმავალმშენებლები 145 ლოკომოტივის გამოშვებას აპირებენ. სახალხო მეურნეობა მიიღებს აგრეთვე სამრეწველო ელმავლებს, მაღალმწარმოებლურ ელექტროშტაბელერებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

პროგრამა დაძაბულია, მაგრამ მისი შესრულება ძალგვიძს, აღნიშნა მეცადინეობაზე პროგაანდისტმა ა. ნ. ვაშაკიძემ.

სკოლის მსმენელებმა თქვეს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას ყველა ჯგუფში. მათ კოლექტივის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით დაადასტურეს, თუ რაოდენ საჭიროა ამაღლდეს თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, გაძლიერდეს ბრძოლა გამცდენელების, წუნისმკეთებლების, უქნარების წინააღმდეგ.

სანმოუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა გვმართებს ყველას, ყველგან და ყველაფერში — ეს მოთხოვნა ცხოვრების ნორმად დაამკვიდრეს ელმავალმშენებლებმა, რომლებმაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას. აქ შემოშავებულია და მოქმედებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ზუსტი სისტემა. მას კორონდინაის უშვებს გაერთიანების პარტკომთან ჩამოყალიბებული სპეციალური შტაბი, დისციპლინის განმტკიცებისათვის იღებენ ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი, ადგილობრივი რადიოკვანძი, სპეციალური ელვა-ფურცლები. ქარხანაში ისწრაფვიან ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით შექმნან გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, დამრღვევს მორალური გარდა მატერიალურ სასჯელსაც ადებენ. შედეგმაც არ დააყოვნა. მკვეთრად იწყო კლება დაგვიანებებმ და გაცდენებმა. საამქროებში და უბნებზე პრაქტიკულად ვერ ნახავ კაცს, უსაქმოდ რომ იყოს. ამან სასიკეთო გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ელმავალმშენებელთა კოლექტივი ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს. მიმდინარეობს საწარმოს რეკონსტრუქცია. წელს, მაგალითად, ამოქმედდება ურიკებისა და ელექტროშტაბელერების საამქროები, ძარის საამქროს მალი, საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

ეს გარდაქმნები შეეხება მთელი კოლექტივის, მისი თითოეული წევრის, მათ შორის, სკოლის მსმენელების შრომას. ეს დაისახეს ორიენტირად საწარმოს საუკეთესო ადამიანებმა, რომლებიც ახალ ქვეგანაყოფებს აყალიბებენ. მაგალითად, სახელგანთქმული ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. დ. გელაშვილი სათავეში ჩაუდგა ბრიგადას, რომელიც ურიკების ახალი საამქროს ბირთვი გახდება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ა. მეტონიძე გადავიდა საამწყობო საამქროში, სადაც ელექტრომემონტაჟეთა გაერთიანებულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. წარჩინებულმა მუშამ კ. ი. ორაგველიძემ გაერთიანების საეკსპერიმენტო საამქროში ჩამოაყალიბა მეჩარხეთა ბრიგადა.

დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი რეზერვია კომპლექსური ბრიგადები. თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომპლექსურ ბრიგადებში გაერთიანებულია თითქმის 600 კაცი, რომლებიც ერთიანი განწესით მუშაობენ და პასუხს აგებენ შრომის მაღალი საბოლოო შედეგისათვის, რაც გულისხმობს მტკიცე, შეგნებულ დისციპლინასა და თითოეულის პასუხისმგებლობას. ბრიგადები პროდუქციას ქმნიან უმცირესი დანახარჯებით, სწრაფად, მაღალხარისხოვნად. აი რატომ არის, რომ დღეს ასეთი ბრიგადების რაოდენობის ზრდა კოლექტივის განსაკუთრებული ამოცანაა.

იმის შესახებ, თუ როგორ გაიარჯნენ ელმავალმშენებლები ხუთწლედის მეორე წელს, საწარმოს ამოცანებზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ზ. დ. ჩიკაძემ. პარტკომის მდივანმა ლ. ა. ჯიქურიძემ აუცილებელი ელვა-ფურცლები. ქარხანაში ისწრაფვიან ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით შექმნან გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, დამრღვევს მორალური გარდა მატერიალურ სასჯელსაც ადებენ. შედეგმაც არ დააყოვნა. მკვეთრად იწყო კლება დაგვიანებებმ და გაცდენებმა. საამქროებში და უბნებზე პრაქტიკულად ვერ ნახავ კაცს, უსაქმოდ რომ იყოს. ამან სასიკეთო გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ელმავალმშენებელთა კოლექტივი ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს. მიმდინარეობს საწარმოს რეკონსტრუქცია. წელს, მაგალითად, ამოქმედდება ურიკებისა და ელექტროშტაბელერების საამქროები, ძარის საამქროს მალი, საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

ეს გარდაქმნები შეეხება მთელი კოლექტივის, მისი თითოეული წევრის, მათ შორის, სკოლის მსმენელების შრომას. ეს დაისახეს ორიენტირად საწარმოს საუკეთესო ადამიანებმა, რომლებიც ახალ ქვეგანაყოფებს აყალიბებენ. მაგალითად, სახელგანთქმული ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. დ. გელაშვილი სათავეში ჩაუდგა ბრიგადას, რომელიც ურიკების ახალი საამქროს ბირთვი გახდება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ა. მეტონიძე გადავიდა საამწყობო საამქროში, სადაც ელექტრომონტაჟეთა გაერთიანებულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. წარჩინებულმა მუშამ კ. ი. ორაგველიძემ გაერთიანების საეკსპერიმენტო საამქროში ჩამოაყალიბა მეჩარხეთა ბრიგადა.

დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი რეზერვია კომპლექსური ბრიგადებში გაერთიანებული ელმავალსაშენებელი ქარხნის საამქროებში ეფექტიანი ბრძოლა ტემპის, ხარისხის, ეკონომიკური ეფექტიანობის, ტექნიკური ინოვაციების, ტექნოლოგიის, ორგანიზაციის, ტექნიკური დისციპლინის, ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ანგარიშ

მუშაობას გარდავქმნით

მოსკოველ ჩარხმშენებლებთან ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. სიტყვაში გამოთქმული რჩევა და მითითებანი მათი მუშაობის სამოქმედო პროგრამად იქცა. ამასთან დაკავშირებით გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა თბილისის სანარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ დირექტორს გ. ჯიქიძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

კითხვა: როგორ ახორციელებს ხაწარმოს კოლექტივი სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, როგორია ჩარხმშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და პერსპექტივები?

— უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელი წელი ჩვენს კოლექტივს ურიგოდ არ დაუმთავრებია. ხუთი წლის განმავლობაში პირველად შეკასრულეთ პროდუქციის გამოშვების გეგმა და წარმოების ზრდის ტემპმა 117,6 პროცენტს მიაღწია. ვფიქრობთ, შემდგომში აღარ დავუშვათ ისეთი ჩავარდნები, როგორიც გასულ წლებში გვქონდა. კოლექტივი ძირითადად ამისათვის აორ ქმობილიზებული. მიუხედავად ამისა, მუშაობაში სიძნელეები კვლავ გვაქვს. წლეულს მეორე კვარტალიდან უნდა შეგვცვალოთ ძირითადი პროდუქციის წარმოება, გადავიდეთ ახალი პროდუქციის გამოშვებაზე. ასევე წელს მცირე სერიებით უნდა დავიწყოთ პროგრამული ჩარხების დამზადება, რაც იმის ერთ-ერთი საფუძველი იქნება, რომ გაერთიანებამ შემდგომში გამართულად იმუშაოს. იანვრის გეგმა ჩვენმა კოლექტივმა ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით შეასრულა. ვფიქრობთ, აღებულ შრომის ტემპს არ შევანელებთ და ყველაფერს ვიღონებთ, რათა წარმატებით შეგასრულოთ წლეულს ნაკლური სახელმწიფო გეგმა-ვალდებულება.

კითხვა: როგორია თქვენი გადაწყვეტილება 1983 წელს სამუშაო ადგილებების შემცირების გზით შრომის ნაყოფიერების გაზრდასთან დაკავშირებით?

— დღესდღეობით, სამწუხაროდ, სამუშაო დროის დანაკარგები საკმაოდ გვაქვს. თვითკრიტიკულად შევნიშნავ, რომ ძირითადად ეს განპირობებულია წარმოების ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებით. მართალია, ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია. წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დისციპლინის განმტკიცება წარმოების ყველა რგოლში. ამ მიზნით ყოველ დილით იკრიბება სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა საწარმოს პარტკომთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ. აქ განიხილავენ საწარმოს კოლექტივის საქმიანობის ყველა მხარეს. მკაცრი კონტროლი დაუწესდა შრომის ორგანიზაციას, დისციპლინას, მოცდენებს, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად ხარჯვას. საწარმოში გამოდის ყოველდღიური ბიულეტენი, რომელშიც მხილებულია, ვინ არ გამოვიდა სამუშაოზე და რა მიზეზით. გარდა ამისა, ყოველდღიურ ღილის თათბირებზე განვიხილავთ საკითხებს, რომლებიც შეეხება მაკომპლექტებელი მასალ ებ ი თ, სხმულებით გაერთიანების უზრუნველყოფას. ისინი თუ დროულად არ მივიღეთ, დასახელებულ ამოცანას თავს ვერ გავართმევთ. ვფიქრობთ, წლეულს შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით 3 პროცენტით მაინც გავაღიდოთ.

კითხვა: ხშირად არის ლაპარაკი იმაზე, რომ ქარხანას გაზის მიწოდება შეუწყვეტეს, უხარისხო ხსმულით გამარაგებთ თბილისის ფოლად-თუჯსახმელო ქარხანა, მხედველობაში გვაქვს ხადგარი, გრძელდება თუ არა ასეთი მდგომარეობა წლეულსაც?

— მართალი ბრძანდებით. დიდი შეფერხებებია გაზის მიწოდებაში. სამეფლო საამქრო გაზით მუშაობს, დანარჩენი საამქროები კი მაზუთით. იანვარში ჩვენთან მხოლოდ 5 დღე იყო ნორმალური წნევის გაზი, დაბალი წნევის დროს მწარმოებლობა ორჯერ კლებულობს. როგორღაც ვქედავთ მცირე დეტალებს, მაგრამ დიდი მოცულობის დეტალების დამზადება არ ხერხდება. ეს იწვევს წარმოების არარიტმულ მუშაობას. ამიტომ, და ეს ბუნებრივია, მცირედი შეფერხებაც მასალების დიდ გადახარჯვასთან არის დაკავშირებული. ეს კი შეუწყნარებელია. თუმცა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა სხმულებს საკმარისი რაოდენობით გვაწვდის, მაგრამ ისე უხარისხოს, რომ ხშირად მისი დამუშავებისას ჩვენი იარაღები იმსხვრევა. ხშირია შემთხვევა, როცა სხმულისშიგა ფარული დეფექტის გამო დამზადებული დეტალი წუნიანი გამოდგება. ეს ძალზე გვიშლის ხელს მუშაობაში.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას თქვა: „წესრიგი უნდა დამყარდეს ყველგან... საქმე ეხება სერიოზულ დამოკიდებულებას საწარმოო დისციპლინის, მათ შორის ტექნოლოგიური, მომარაგების და სხვა მისთანათა დისციპლინის ყველა ასპექტისადმი“. — ეს ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

კითხვა: თქვენი ქარხანა მეთაური საწარმოა კავშირის მასშტაბით, როგორც მილსაბერელი ჩარხების დამამზადებელი. როგორ სრულდება სახელშეკრულებო დისციპლინა?

— დიახ, ეს ასეა. ჩვენი ქარხანა მილსაბერელი ჩარხების დამუშავებაში მეთაური საწარმოა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ თბილისის მარკის ჩარხები კარგი რეპუტაციით სარგებლობს. დისციპლინის განმტკიცების შემადგენელი ნაწილია მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნა. პროდუქციის წარმოება უნდა იყოს ზუსტად ორგანიზებული, უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით, გამართული მოწყობილობით. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მეტად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მაღალი მომეხოვნელობის, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტების პრინციპული შეფასების ვითარების დამკვიდრებაში. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ თითოეული მშრომელი თავის სამუშაო ადგილზე ყოველ ღონეს ხმარობდეს შრომის ინტენსიფიკაციის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ი. ჟორდანია,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი. (საქინფორმი).

სათიბვები და საძოვრები სიმდიდრეა!

ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. სასურსათო პროგრამით დასახული მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის საფუძველზე გათვალისწინებულია გაიზარდოს საძოვრებზე უხეში და წვნიანი საკვების დამზადება.

მთის პირობებში საკვების წარმოების გადიდების საკითხს ეხება პროფესორ გ. ბაღრიშვილის წერილი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

რესპუბლიკის მთებში გვაქვს უდიდესი სიმდიდრე სათიბებისა და საძოვრების სახით, მაგრამ ამ განძს ჯერჯერობით ცუდად ვიყენებთ.

რესპუბლიკის სათიბ-საძოვრები, გარდა მცირე მოსავლიანობისა, ხასიათდება ბალახნარის დაბალი ხარისხით, რადგან თვის შემადგენლობაში ბევრგან ჭარბობს პირუტყვის საკვებად უვარგისი, მავნე და უხეში ბალახები — მინდვრის გვირილა, ეკლიანი ნარი, მარმუჭი, ძიგვი, კოსმელია, ზხამა და სხვა. ამიტომ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება და მათი პროდუქტიულობის ამაღლება დიდი ხელუხლებელი რეზერვია რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი ძლავრი განვითარებისათვის და პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტის ხუთი კათედრა მეშვიდე წელია ეწევა სამეცნიერო მუშაობას თრიალეთის მასივზე (60 ჰექტარზე) იქ ფართოდ გავრცელებული აბეზარა სარეველას — მინდვრის თეთრი გვირილის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესაძუშავებლად და სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის გასაღიდებლად.

თეთრი გვირილა კარგად შეეთვისა ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და გადაიქცა სათიბ-საძოვრების საშინელ სარეველად, რომელიც სწრაფად ვრცელდება როგორც თესლით, ისე ვეგეტაციურად. მცენარე მრავალწლოვანია, ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 90 მცენარე მოდის, თითოეული მცენარე 4-5 ღერის ამონაყარს იძლევა და ყვავილ ივითარებს ისე, რომ კვადრატულ მეტრზე 400-500 ყვავილოვანი ღეროა. მცენარე ივნისში ყვავილობის ფაზაში შედის და ამ პროცესს აგვისტომდე აგრძელებს; ივლისში თესლი მომწიფებულია ყვავილის კალათაში, ოდნავი შერხევითაც ადვილად იბნევა და გასაოცარი სისწრაფით ვრცელდება. თესლი ძალიან წვრილი და მსუბუქია, ერთ გრამში 2600-მდე ცალია, ერთ კვადრატულ მეტრზე 10 გრამამდე თესლს იძლევა, რაც ჰექტარზე გადაყვანით 260 მილიონ თესლს შეადგენს. მასობრივი ყვავილობის პერიოდში მცენარის ყვავილი თითქმის მთლიანად ფარავს ნიადაგის ზედაპირს და არ უშვებს მზის სხივებს მის ქვედა იარუსში განლაგებულ სასარგებლო მცენარეებამდე.

გვირილის გავრცელებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ პირუტყვი მას არ ძოვს, ადამიანი არ ებრძვის და არც სხვა რამ აბრკოლებს. ბიოლოგიურ კონკურენციას სასარგებლო მცენარეებისაგან არ განიცდის, რადგან ამ უკანასკნელთ საქონელი ძოვს და ჩაგრავს, რის გამოც ისინი ზრდაში ჩამორჩებიან.

თრიალეთის მასივზე ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესწავლა წარმოებდა კომპლექსურად, სამუშაოებს ასრულებდნენ ინსტიტუტის მემცენარეობის, ზოგადი მიწათმოქმედების, აგროქიმიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის, მცენარეთა ქიმიური დაცვის კათედრების კვალიფიციური სპეციალისტები.

წინასწარმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საცდელად გამოყოფილ მინდორზე თვის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატებოდა 16 ცენტნერს ჰექტარზე. ამასთან მოსავალში ცხოველისათვის სასარგებლო ბალახეული შეადგენდა მხოლოდ 40 პროცენტს, ე. ი. ჰექტარზე 6,4 ცენტნერს.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდიკა მოიცავდა სათიბ-საძოვრების როგორც ძირეული, ისე ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებას. სათიბ-საძოვრების ფართობი მარტო დმანისის რაიონში 20 ათას ჰექტარს აღემატება, ხოლო რეგიონში დაახლოებით ორასი ათასი ჰექტარია. სათიბ-საძოვრების ძირითადი მასივები მდებარეობს 1.300-1.400 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და აღწევს კენჭოთისა და მულთოვლის მთების ფერდობებს 2.700-3.100 მეტრის სიმაღლემდე. სათიბ-საძოვრების დაახლოებით ნახევარი ხასიათდება მსხვილქვიანი ზედაპირით, ამასთან ქვები ძნელად ამოსაღებია. სათიბები მდებარეობს საშუალო დახრილობის ფერდობებზე (15-18 გრადუსი), ხოლო საძოვრების დახრილობა 15-35 გრადუსამდე აღწევს.

ზოგიერთ სათიბ-საძოვარზე გვხვდება 160-ზე მეტი სახეობის მცენარე, მათ შორის პირუტყვისთვის სასარგებლო მცენარეების საერთო რაოდენობა მთელი ბალახნარის ნახევარსაც კი არ შეადგენს. დანარჩენი ბალახეული მიეკუთვნება ცხოველებისათვის უოგებ მცენარეებს, რომელთა შორის პირველი ადგილი უნდა დამუშავდეს დისკოებიანი ფარცხით და ბალახების დათესვის წინ მოხდეს კულტივაციადაფარცხვა. ამგვარად მომზადებულ ნიადაგში ზაფხულის დამლევს შეიძლება დათესოს მრავალწლოვანი კულტურული ბალახების ნარევი (წითელ სამყურა-სთან სათითუოას, მდელოს წივანას, კოინდრის, ტიმოთელას და სხვა ბალახების შერევით).

კიდევ უკეთესია, თუ პირველ წელიწადს დამუშავებულ კორდს გამოვიყენებთ საშემოდგომო ქერისათვის და ბალახები დათესება მეორე წელიწადს ნაქერალზე. ამ შემთხვევაში ნიადაგი იხვნება ქერის მოსავლის აღებისთანავე 18-20 სმ სიღრმეზე. მოხვნის წინ ნაკვეთში შეგვაქვს 90 კილოგრამი აზოტიანი, 120 კილოგრამი ფოსფორიანი და 60 კილოგრამი კალიუმიანი სასუქები (წმინდა ნივთიერების ანგარიშით). აგვისტოს მეორე ნახევარში ხნულის კულტივაცია-დაფარცხვის შემდეგ ითესება კულტურული ბალახების ნარევი.

ნარევი ბალახების თესვის ნორმად უნდა ავიღოთ თითოეული სახეობის სუფთად თესვის ნორმის 75 პროცენტი, ე. ი. ორი სახეობის ბალახის შერევისას 150 პროცენტი. რთული ნარევების ბალახის შეთესვისას, მაგალითად, სამი სახეობის ბალახის ერთად თესვის დროს კი თითოეულის ნორმის 50 პროცენტი, რაც ჯამში 150 პროცენტს შეადგენს.

მინდვრიდან თივის გატანასთანავე საჭიროა შევიტანოთ მინერალური სასუქები — აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი, თითოეული 30 კილოგრამი და მინდორი დავფარცხოთ მძიმე, კბილებიანი ფარცხით.

ნათესი ბალახები, ხელსაყრელი ამინდის პირობებში, შეიძლება შემოდგომაზე მეორედაც გაითიბოს თივის დამატებითი მოსავლის მისაღებად. დაუშვებელია მოსავლის აღების შემდეგ სათიბებზე საქონლის ძოვება.

მინერალური სასუქები 2,5-ჯერ ზრდის თივის მოსავლიანობას გაუნოყიერებელ ფართობთან შედარებით. მინერალური სასუქების ოპტიმალურ დოზად მთამდელოს ნიადაგებზე შეიძლება მივიჩნიოთ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა შემოდგომაზე (ჰექტარზე თითოეული 90 კილოგრამის ოდენობით) და ასეთივე დოზის აზოტიანი სასუქებისა გაზაფხულზე (ამონიური).

სხვადასხვა სახეობის მეცენარეები თავისებურად რეაგირებენ სასუქებს. მაგალითად, ფოსფორიანი სასუქების შეტანით — ცხენისძირა, მარცვლოვანი ბალახების ბარტყობა, ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები აძლიერებენ პარკოსანი ბალახების ზრდა-განვითარებას, შესაბამისად მცირდება ნარბალახეული და განსაკუთრებით მინდვრის გვირილა.

მინერალური სასუქების შეტანასთან ერთად კიდევ უფრო ეფექტიანია დეგრადირებულ სათიბებში მრავალწლოვანი ბალახების ნარევების გამოთესვა და კბილებიანი ფარცხით დაფარცხვა. ამის მეთხებით თივის მოსავლიანობა ჰექტარზე 60 ცენტნერამდე იზრდება, უმჯობესდება მისი ხარისხი.

ბალახების გამოსათესად საჭიროა სათიბი და საძოვარი გაიწმინდოს ბუჩქნარებისაგან, ქვებისაგან, მოსწორდეს კოლბონები, დაჭაობებული ადგილები დაიწრიტოს. ამის შემდეგ საჭიროა მინერალური სასუქების შეტანა და კორდის დაკაწვრა კბილებიანი ფარცხით. ნაკაწრები რომ კარგად დაიტყოს, ფარცხზე მძიმე საგნები უნდა დავაწყოთ. ეფექტიანია გამოსათესად მდელოს წივანა — 5-6 კილოგრამი ჰექტარზე, თვთრი სამყურა — 8-10 კილოგრამი, მრავალსათიბი კოინდარი — 10-12 კილოგრამი ნარევის სახით. ბალახები ითესება მობნევით ან დისკოებიანი სათესით. შეთესვის საუკეთესო დროა ადრე გაზაფხული (მარტი).

მარტო სათიბების მძიმე ზიგზაგით დაფარცხვა და ნიადაგის აერაციის გაძლიერება 20 ცენტნერით ზრდის თივის მოსავლიანობას.

მინდვრის გვირილის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიცადა მრავალი ჰერბიციდი. საუკეთესო აღმოჩნდა ორი სახეობის ჰერბიციდი — „რეგლონი“ და „მეკოპროპი“. ისინი გვირილის მცენარეებს სპობენ 80-100 პროცენტით.

ორივე ეს პრეპარატი ძლიერია და ვეგეტაციის პერიოდში შესხურებისას სპობს თითქმის ყველა მცენარეს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა ქიმიური დაცვის კათედრამ ჰერბიციდი გამოიყენა მაშინ, როდესაც სასარგებლო ბალახეულის ფესვის ყელი დაფარულია მკვდარი საფარით, გამხმარი ღერო-ფოთლებით (გვიან შემოდგომაზე), ხოლო გვირილა ამ დროს მიწაზეა გართხმული. მას შენარჩუნებული აქვს მწვანე ფოთლები და განაგრძობს სიცოცხლეს. ამ პირობებში ჰერბიციდი აქტიურად იჭრება გვირილის ფოთლებში, მისი ზრდის კვირტში და ღუპავს, კულტურული ბალახები კი თავს იცავენ მკვდარი საფარით.

საწარმოო გამოცდამ ნათლად დაადასტურა ძირეული გაუმჯობესების მაღალი ეფექტიანობა. გაწეული სამეცნიერო მუშაობის საფუძველზე დამუშავდა სათანადო რეკომენდაციები და წარედგინა როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე დმანისის რაიონის ხელმძღვანელობას. პარტიის რაიკომის ინიციატივით მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი, რომელზეც განიხილეს რაიონში ამ მხრივ გაწეული მუშაობის შედეგები.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების რადიკალურად გაუმჯობესების გზები დამუშავებულია. საჭიროა ამ ღონისძიებათა ფართო მასშტაბით დანერგვა. ძირეული გაუმჯობესება რაიონის სათიბ-საძოვრების 10 პროცენტზეც რომ განვახორციელოთ, ეს მოგვცემდა დამატებით სულ მცირე 10 ათას ტონა მაღალხარისხოვან თივას, ხოლო დანარჩენი ფართობის ზედაპირული გაუმჯობესებით ორჯერ გაიზრდებოდა თივის მოსავალი.

გ. ბაღრიშვილი,
პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგე.



გურჯაანის რაიონში ვადამდე გადასცეს ხაექსპლოატაციოდ მუკუზნის ღვინის ქარხანა. აქ ყოველწლიურად 45 ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებენ. საწარმო შენდებოდა და აღიჭურვებოდა როგორც თანამედროვე ღვინის მრეწველობის ეტალონი. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მესამე მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლები შრომობდნენ ბრიგადული იჯარის მეთოდით, რამაც გააერთიანა ყოველი მუშის და მთელი კოლექტივის ინტერესები, აამაღლა პასუხისმგებლობა სამუშაოს შედეგისათვის. ღვინის ქარხნის მშენებლობაზე გამოიყენეს ახალი საშენი მასალები, შრომის ინდუსტრიული მეთოდები.

* * *

სურათზე: საწარმოს ერთ-ერთი ტექნოლოგიური ხაზი.

მ. დათიკაშვილისა და პ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ს�ადღრეა!

პირუტყვის საკვების წარმოების გადიდება ყველას საზრუნავია

● ●

ბოლო ორ-სამ კვირაში ბევრ ადგილას ბალახნარის ბოლოდროინდელ ფოთლებს ვაგროვებ. ეს ფოთლები ბალახნარის ბოლოს ამოსულ ბალახებს ანათებენ, ხელს ვუშლიან ბალახების ზრდას

2 თებერვალი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუფყება

დრო შენი ჟვეყნის სამსახურად გიხმობს

როგორ იწყება დამოუკიდებელი ცხოვრების გზა ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრა: რა რწმენით, რა სურვილებით, როგორი სულისკვეთებით მიდის იგი შრომითს კოლექტივში?

რა ბევრია დამოკიდებული პირველ ნაბიჯებზე, პირველ შთაბეჭდილებებზე!

ალბათ, ისე ნათლად და ისე მკვეთრად სხვა დროს ძნელად იჩენს თავს ახალგაზრდა კაცის ცხოვრებისეული პოზიცია, როგორც ცხოვრების ამ დიდ გზაგასაყარზე, როცა მთავრდება განსწავლის, სტუდენტობის ხანა და გადაიშლება შრომითი ბიოგრაფიის ამსახველი წიგნის თავფურცელი.

ეს საკითხი, მეტად თუ ნაკლებად, ყოველ ჩვენგანს აღელვებს, მაგრამ, ამაში საკვირველი რა უნდა იყოს, — პირველყოვლისა, აქაც ახალგაზრდა კაცის აღმზრდელებს, მის პედაგოგებსა და იმ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელებს მოეკითხებათ პასუხი, რომლებმაც იგი დამძღვრეს დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასვლის წინ და რომლებსაც წილად ერგოთ პირველნი შეეგებონ მას ცხოვრების ამ დიდ ეარიბჭესთან.

დიახ, ახალბედა სპეციალისტზე ზრუნვა უმაღლეს სკოლაში სულაც .არ თავდება მაშინ, როცა მას კურსდამთავრებულის დიპლომი გადაეცემა. ამის შესახებ კიდევ ერთხელ ნათლად და დამაჯერებლად, პარტიული გულახდილობითა და პრინციპულობით ითქვა ამხ. ე. შევარდნაძის მხსენებლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის დეკემბრის პლენუმზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმის შესრულების საქმეში.

„მეტად დიდ ყურადღებას ვუთმობთ და კვლავაც დავუთმობთ მისაღებ გამოცდებს, ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევას, — ითქვა მოხსენებაში, — მაგრამ რისი გულისთვის? მთავარი ხომ ის გახლავთ, რომ შემდგომში კურსდამთავრებული საწარმოში მოვიდეს. სხვაგვარად სწავლებისა და აღზრდის მთელი გულმოდგინე შუშაობა ყოველგვარ აზრს კარგავს“.

პლენუმმა, სხვებთან ერთად, მკაცრად გააკრიტიკა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკები იმისათვის, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არ ცხადდება განაწილების მიხედვით რესპუბლიკის საწარმოებში სამუშაოდ.

დიახ, კრიტიკა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. იგი, ძირითადად, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1982 წლის ამ კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს ეხებოდა, რომლებიც თავს არიდებენ განაწილების ადგილებზე მისვლას და მუშაობას. მართლაც, რესპუბლიკის 3 მსხვილ საწარმოში — ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებში 1982 წელს განაწილებული 135 ახალგაზრდა სპეციალისტიდან დეკემბრის დასაწყისისათვის მხოლოდ ნახევარი იყო დანიშნულებისამებრ მისული. ასე, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გაგზავნილი 67 კაციდან ადგილზე მუშაობდა 31, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კი 25-ის ნაცვლად სამუშაოდ გამოცხადდა 16, ასევე 16 ახალგაზრდა სპეციალისტი იყო მისული სამუშაოდ რუსთავის ქიმიურ ქარხანაშიც.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებულ

ახალგაზრდა სპეციალისტები, ფეგო, ველით!

საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დროდადრო დახმარებისათვის მიმართავს პარტიის იმ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს, საიდანაც ამჟამინდელი ახალგაზრდა სპეციალისტები ჩამოვიდნენ თავის დროზე უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად. ისინიც ესაუბრებიან მათ, სთავაზობენ მათთვის მისაღებ პირობებს და უშვებენ სამუშაოდ. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის ქიმიური ქარხნები ახალგაზრდა სპეციალისტებს მაშინვე აკმაყოფილებენ საცხოვრებელი ბინით. საქმისადმი ასეთი მიდგომა ქმედითი და შედეგიანია, კარგია. რომ ეს შეძლოს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ.

აქვე ალბათ საჭიროა იმის შეხსენება, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა, და სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, დამტკიცებული დებულების მიხედვით **უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებული, რომელმაც სწავლების სრული კურსი გაიარა და დაიცვა სადიპლომო პროექტი, ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები და კომისიამ გაგზავნა სამუშაოდ, ახალგაზრდა სპეციალისტად ითვლება სასწავლო დაწესებულების დამთავრებიდან 3 წლის განმავლობაში; ამ ხნის მანძილზე მან მხოლოდ განაწილების ადგილზე უნდა იმუშაოს და არც ერთი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს არა აქვს უფლება სამუშაოდ მიიღოს ეს კურსდამთავრებული, თუ იგი საპატიო მიზეზის გამო არ იქნება განთავისუფლებული განაწილების ადგილიდან და არ მიეცემა ხელახალი განაწილება ან თავისუფალი მოწყობის უფლება.** ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების დებულების („უმაღლესი

საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დროდადრო დახმარებისათვის მიმართავს პარტიის იმ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს, საიდანაც ამჟამინდელი ახალგაზრდა სპეციალისტები ჩამოვიდნენ თავის დროზე უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად. ისინიც ესაუბრებიან მათ, სთავაზობენ მათთვის მისაღებ პირობებს და უშვებენ სამუშაოდ. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის ქიმიური ქარხნები ახალგაზრდა სპეციალისტებს მაშინვე აკმაყოფილებენ საცხოვრებელი ბინით. საქმისადმი ასეთი მიდგომა ქმედითი და შედეგიანია, კარგია. რომ ეს შეძლოს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ.

აქვე ალბათ საჭიროა იმის შეხსენება, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა, და სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, დამტკიცებული დებულების მიხედვით **უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებული, რომელმაც სწავლების სრული კურსი გაიარა და დაიცვა სადიპლომო პროექტი, ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები და კომისიამ გაგზავნა სამუშაოდ, ახალგაზრდა სპეციალისტად ითვლება სასწავლო დაწესებულების დამთავრებიდან 3 წლის განმავლობაში; ამ ხნის მანძილზე მან მხოლოდ განაწილების ადგილზე უნდა იმუშაოს და არც ერთი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს არა აქვს უფლება სამუშაოდ მიიღოს ეს კურსდამთავრებული, თუ იგი საპატიო მიზეზის გამო არ იქნება განთავისუფლებული განაწილების ადგილიდან და არ მიეცემა ხელახალი განაწილება ან თავისუფალი მოწყობის უფლება.** ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების დებულების („უმაღლესი

ღონისძიებათა შედეგად, კრიტიკის შემდეგ, 1983 წლის იანვრის მესამე დეკადისათვის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში სამუშაოდ კიდევ 9 ახალგაზრდა სპეციალისტი მივიდა (ახლა 40), რუსთავის ქიმიურ ქარხანაში დამატებით 10 კაცი გამოცხადდა სამუშაოდ (ახლა 26), ხოლო მეტალურგიულ ქარხანაში — 2. ამგვარად, კრიტიკის შედეგ 21-მა ახალგაზრდა სპეციალისტმა დაიკავა თავისი კუთვნილი სამუშაო ადგილი ამ ქარხნებში. ასე რომ, 135 კურსდამთავრებულიდან იანვრის მესამე დეკადამდე დანიშნულებისამებრ მუშაობა დაიწყო 84-მა კაცმა. დარჩენილი 51 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 19 სხვადასხვა სამუშაოზე გაიგზავნა, 32 კი კვლავ თავს არიდებს განაწილების ადგილებზე მისვლას.

ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკებს არაერთხელ ჰქონიათ საუბარი ამ ახალგაზრდებთან, მაგრამ ცხადია, მხოლოდ მოწოდებები, განკარგულებებით, ადმინისტრირებით ვერ მიაღწევ სასურველ მიზანს. ამიტომ არის, რომ საქართველოს უმაღლესი და

საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ცდილობს ალმოფხვრას ამგვარი დარღვევები. მიუხედავად იმისა, რომ განაწილების შემდეგ ახალგაზრდა კადრი იქ დაწესებულების კომპეტენციაში გადადის, სადაც იგი გაიგზავნა, სამინისტრო მაინც ბოლომდე მეთვალყურეობს მას და ხშირად სასურველ შედეგებსაც აღწევს.

სამინისტროები, უწყებები, საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან შექმნან ყველა პირობა, რომლებიც ახალგაზრდა სპეციალისტს საშუალებას მისცემს სწორად და რაციონალურად გამოიყენოს ცოდნა, რომელიც მან სასასწავლო დაწესებულებაში შეიძინა. თუ ის ქარხანა ან დაწესებულება, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტი გაიგზავნა, რაიმე მიზეზით არ მიიღებს მას და ამის შესახებ აცნობებს გამანაწილებელ კომისიას, ან შემთხვევაში კადრს ხელახლა განაწილებენ.

ახალგაზრდა სპეციალისტის მუშაობა დანიშნულების შესაბამისად მისი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, არჩეული პროფესიისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა. ქუთაისისა და რუსთავის ქარხნებში გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა, როგორც ჩანს, ღრმად გაიაზრა ეს და თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ამოუდგა მხარში ადრე ამ ქარხნებში განაწილებით უკვე მისულ თავის კოლეგებს. ეს მათაც უნდა გათვალისწინონ, ვინც კვლავ უარს აცხადებს განაწილებისამებრ მუშაობის დაწყებაზე ან მერყეობს და ჯერაც ვერ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება.

მრეწველობის განვითარების დღევანდელი ტემპის პირობებში ერთიერად გაიზარდა ახალგაზრდა კადრებზე მოთხოვნა. წელს კიდევ 270 ახალგაზრდა სპეციალისტი გაიგზავნება ამ ქარხნებში. ცხადია, წარმოებაში მათი დამკვიდრება, საჭირო კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათდამი მზრუნველი, გულთბილი, გულისხმიერი დამოკიდებულება ამ საწარმოთა ხელმძღვანელების პირდაპირი მოვალეობაა. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ საიმისოდ, რომ კარგი მასპინძელივით ფართოდ გაუღონ კარი ახალგაზრდობას და შეეგებონ სიტყვებით: ახალგაზრდა სპეციალისტებო, მობრძანდით, გელით!

გ. ხანდამიშვილი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საყოველთაო მუშაობისათვის

გაიზსნა განიარაღების კომიტეტის სესია

ჟენევა. ჟენევის ერთა სახალხლეში გაიხსნა განიარაღების კომიტეტის სესია, რომლის დღის წესრიგშია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამ საკითხთა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს გამალებული შეიარაღების ალაგმვას, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას. სესიის დელეგატების უურადღების ცენტრშია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური დეკლარაცია, რომელიც აქ გაავრცელეს, როგორც განიარაღების კომიტეტის ოფიციალური დოკუმენტი.

სხდომის გახსნისას სესიის თავმჯდომარემ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა დ. ერდენბილეგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტის წევრი ყველა სახელმწიფო პასუხს აგებს მშვიდობის ბედისა და განიარაღებისათვის. მან მოუწოდა რაც შეიძლება ჩქარა მიაღწიონ კონკრეტულ შედეგებს სესიაზე განხილული პრობლემების თაობაზე.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს შეთანხმების მიღწევა ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა ბირთვული იარაღის გამოცდის მოლიანი და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების შემუშავება, ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვა და მისი მოსპობის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოების, დაგროვების, განლაგებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის, კოსმოსური სივრცეში ყოველგვარი იარაღის განლაგების აკრძალვის ხელშეკრულების დადება, რადიოლოგიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შეთანხმება. საბჭოთა დელეგატმა ყურადღება მიიპყრო იმას, რომ განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების ყოველგვარი რთული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მოლაპარაკების მონაწილე მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვის საფუძველზე.

მექსიკის წარმომადგენელმა ა. გარსია რობლესმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ობსტრუქციონისტული პოზიცია. მან გააკრიტიკა „შეზღუდული ბირთვული ომის“, „გაქიანურებული ბირთვული კონფლიქტის“, „პრევენტული ბირთვული დარტყმის“ კონცეფციები. ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებლიტიკა ევნევის მოლაპარაკებაზე საშუალებას არ გვაძლევს მივაღწიოთ ურთიერთმისაღებ მორიგებას, ხაზგასმით აღნიშნა მან.

საქმიანი მოლაპარაკებისადმი დელეგაციათა უმრავლესობის საერთო მისწრაფების ფონზე დისონანსად გაისმა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. დ. მაკეაჭინის გამოსვლა, რომელიც შეეცადა გაემართლებინა ნატოს „ორმაგი გადაწყვეტა“ და რ. რეიგანის ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტი“.

სესია განაგრძობს მუშაობას.

● სსრ კავშირ-თურქეთი

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ანკარა. თურქეთის დედაქალაქში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და თურქეთს შორის საქონელბრუნვის შესახებ 1983-1985 წლებში. მის შესაბამისად თურქეთში გაიგზავნება საბჭოთა მანქანები, ჩარხები და მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, მინერალური სასუქები, მედიკამენტები, და სხვა საქონელი. თავის მხრივ, თურქეთი საბჭოთა კავშირს მოაწვდის ტრადიციულ საექსპორტო საქონელს — ახალ ხილს და ჩირს, კაკალს, ბამბის ნართს და ქსოვილებს, თამბაქოს, აგრეთვე ტრიკოტაჟის, ბეწვის და ტყავის ნაწარმს. ორი ქვეყნის დელეგაციებმა, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, გამოთქვეს იმედი, რომ შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარებას.

● ინგლისი

პროპაგანდისტული კამპანია

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა მთავრობა, რომელიც შეშფოთებულია ევროპაში ომის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდით, გადაწყვეტა გაშალოს ფართო პროპაგანდისტული კომპანია ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების ნატოს გეგმების მხარდასაჭერად. მ. ტეტჩერის კაბინეტს განზრახული აქვს ამ მიზნებისათვის გამოყოს 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ეს ფული მოხმარდება სატელევიზიო რეკლამას, რომელიც შეუკვეთეს ამერიკის სარეკლამო ფირმა „ჯ. უოლტერ ტომპსონს“, მისი საშუალებით ხელისუფალთ სურთ ინგლისელება დაარწმუნონ, რომ საჭიროა ქვეყანა პენტაგონის ბირთვულ პოლიგონად გადაიქცეს.

„ტიმ სპირიტ-83“

ძალის პროვოკაციული დემონსტრაცია

ტოკიო. წყნარი ოკეანის აუზში მდებარე ამერიკის შეერთებული შტატების მრავალ სამხედრო ბაზაზე ნომერი პირველი მზადყოფნაა გამოცხადებული. იქ ელიან უკანასკნელ ბრძანებას პენტაგონიდან, რათა დაიწყონ სამხედრო-საზღვაო ძალების, ავიაციისა და ხომალდების, საზღვაო ქვეითი ჯარების ნაწილების გადაყვანა კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთში, სადაც დაიწყო ამერიკა-სამხრეთ კორეის მანევრები, „ტიმ სპირიტ-83“.

სამხრეთ კორეის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აპრილის შუა რიცხვებამდე ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისა და მარიონეტული სეულის რეჟიმის ჯარების უდიდეს პოლიგონად გადაიქცევა. ახლანდელი მანევრები უდიდესია და მასშტაბით აღემატება წარსულს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირენი აგრესიულ მილიტარისტულ ბლოკებში აწარმოებენ მსოფლიოს სხვა რაიონებში. როგორც გაზეთი „მაინიტი“ წერს, მანევრებში მონაწილეობს 190 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 73 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, კერძოდ ქვეგანყოფები, რომლებსაც სამხრეთ კორეაში გადაიყვანენ ამერიკის შეერთებული შტატების მატერიკის ნაწილიდან, ჰავაის კუნძულებიდან და იაპონიის ოკინავის კუნძულიდან.

იაპონიის საზოგადოებრიობას ვაშინგტონის მიერ წამოწყებული ძალის მორიგი პროვოკაციული დემონსტრაცია მიაჩნია ცდად, რომ კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება შორეული აღმოსავლეთის რაიონში, ჩაითრიოს იაპონია ამერიკის ადმინისტრაციის გლობალურ სამხედრო მზადებაში.

ანგოლა

რევოლუციური მონაპოვრების დასაცავად

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მებრძოლები წმინდად ინახავენ და ამრავლებენ საბრძოლო ტრადიციებს, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, პორტუგალიელ კოლონიზატორთა, სამხრეთაფრიკელ დამპყრობთა და მარიონეტულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში იშვა.

ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები (სურათზე ზემოთ) მზად არიან მტკიცედ დაიცვან თავისი ხალხის რევოლუციური მონაპოვრები, ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.



დაწყებითი და ნაშუალო სკოლის სამ მილიონზე მეტი მოსწავლე მიუჯდა მერხს მიმდინარე სასწავლო წელს. ამჟამად ქვეყნის სასწავლებლებში ოთხჯერ მეტი მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს, ვიდრე 1974 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. დიდი მუშაობა ხორციელდება ახალი სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად. მათში განსაკუთრებული უურადღება ეთმობა მოზარდი თაობის პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და შრომისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდას. სურათზე (ქვემოთ) ანგოლელი მოსწავლეები.

საკლესიო ფოტო.

● ბანა

იმპერიალისტური ჩარევის საფრთხე

აკრა. აქ მოსული ცნობების თანახმად, განის სახელმწიფოს მახლობლად ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფოს, კერძოდ, სპილოს ძვლის ნაპირის ტერიტორიაზე თავს უყრიან შეიარაღებულ შენაერთებს, მათი მიზანია მხარი დაუჭიროონ მთავრობის საწინააღმდეგო ძალებს განაში, რომლებსაც განზრახული აქვთ დაამხონ ეროვნული თავდაცვის დროებითი სახეო. ამ ძირგამომთხრელი კამპანიის ფარგლებში შინაური რეაქციაც ქვეყნის მოსახლეობაში პროვოკაციულად იწვევს არეულობას, ცდილობს გამოიყენოს ეთნიკური წინააღმდეგობანი. იატაკქვეშეთთან გარეშე ძალების მოქმედების კოორდინაციისათვის განაში მალულად ბაზვნიან მებრძოლ ჯგუფებს.

იმპერიალისტური ჩარევის მზარდი საფრთხის პირობებში განის ხელისუფლები ახორციელებენ ღონისძიებებს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის. გაანალიზეს საზღვრის პირა ქალაქების გარნიზონები. დედაქალაქში კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი. შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მკვეთრად გააქტიურა ძირგამომთხრელი საქმიანობა, წერს გაზეთი „პიპლზ დეილი გრეფიკი“. ამერიკის აგენტურის ძირითადი მიზანია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ქვეყნის პოლიტიკა ვაშინგტონის გლობალურ ინტერესებს დაუქვემდებაროს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, წერს „პიპლზ დეილი გრეფიკი“ იარაღით, ტყვიაწამლითა და ფულით ამარაგებს იმათ, ვინც მზად არის მოაწყოს მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხება. 1982 წლის დამდეგს ნიგერიის პოლიციამ ლაგოსში დააპატიმრა ყოფილი განელი სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი, რომლებსაც ალმოუჩინეს ამერიკული იარაღი, ტყვია-წამალი და ფული.

ყოველივე ეს მათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა გადასცეს. ბევრი განელი კონტრრევოლუციონერი, რომლებსაც მხლებელია შეეშინოდათ, აღნიშნავს გაზეთი, გადავიდა ლაგოსიდან სპილოს ძვლის ნაპირსა და ტოგოში, საიდანაც ეწევიან ძირგამომთხრელ მუშაობას განის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციონერთა მიზანია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, განაში ტომთაშორისი შუღლი ჩამოაგდონ, გათიშონ ეროვნული თავდაცვის დროებითი სამეფო რიგები. ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის მიღმა დგას ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც შიშობს, რომ განა პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზას დაადგება.

● კოლონეთი

სეიმის სესია

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის აქ მიმდინარე სესიაზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის აქტუალური პოლიტიკის პრობლემების შესახებ მთავრობის ცნობით გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი.

ქვეყნად მშვიდობის მთავარი ფაქტორი, თქვა მან, კვლავ არის, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის პოლიტიკა, ამის ნათელი დადასტურებაა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამას წინათ პრაღაში გამართული თათბირის შედეგები, მიღებულმა დეკლარაციამ განამტკიცა დაძაბულობის შენელების, გამალებული შეიარაღების შეკავების პოლიტიკისაკენ დაბრუნებისა და განიარაღებაზე, ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე გადასვლის წანამძღვრები.

ამ მიზნებს ემსახურება მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის სასიკეთოდ, მოქმედების ვრცელი და რეალისტური პროგრამა, რომელსაც დეკლარაცია შეიცავს. ეს პროგრამა იმპერიალიზმის ძალების მიერ აღებული კონფრონტაციის კურსის კონსტრუქციული ალტერნატივაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა, თქვა შემდეგ ორატორმა, შეიძინა ჩვენმა ურთიერთმოქმედებამ უახლოეს მოკავშირესთან და ნაცად მეგობართან — საბჭოთა კავშირთან. სსრ კავშირის პოზიცია პოლონეთის დღევანდელი პრობლემების მიმართ, მისი გაგება, აგრეთვე დახმარება ამ პრობლემების გადაწყვეტაში კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს შემობრუნებას ურთიერთობაში, რომელიც ომისშემდგომ პერიოდში მოხდა.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კავშირი რჩება პოლონეთის უშიშროების, ჩვენი საზღვრების ურღვევობის გარანტიად, სოციალისტურ სახელმწიფოთა შეკავშირებისა და ურთიერთმოქმედების პრინციპად ფაქტორად. იგი აგრეთვე ემსახურება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების საერთო საქმეს, მისი ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია.

გასული წლის დამლევს გამართულმა მოლაპარაკებამ ამხანაგ ვ. იარუზელსკისა და ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს შორის დაადასტურა, რომ ორივე პარტიასა და სახელმწიფოს სურს განამტკიცონ ფართო თანამშრომლობა და მჭიდრო ურთიერთმოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის პოლიტიკის განხორციელებაში. ამ მოლაპარაკების დროს მიღებული გადაწყვეტილებანი თანმიმდევრულად სრულდება და კვლავაც შესრულდება.

გასული წელი განსაკუთრებით ძნელი პერიოდი იყო შეერთებულ შტატებთან და ნატოს წევრ ზოგიერთ ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობაში, აღნიშნა მინისტრმა. ანტიპოლონურ პოლიტიკას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ნავარაუდევი შედეგები. მან ვერ დაობრკოლა ცხოვრების სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის პროცესი, თუმცა გააძნელა ჩვენი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ხელი ვერ შეუშალა კრიზისის თანდათანობით დაძლევას. პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრახის იმედები ჩაიფუშა.

სეიმის დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის 1983 წლის მიმართულებათა შესახებ. დოკუმენტში დადასტურებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპების ერთგულება და უცვლელობა.

სეიმი, ხაზგასმულია დადგენილებაში, გადაჭრით გმობს და უარყოფს პოლონეთის საშინაო საქმეებში უცხოთის ჩარევის ყველა ცდას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებს, მათი მეშვეობით კი ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს ერთად იმოქმედონ ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტაში — მშვიდობის დაცვაში, განიარაღებაში, ბირთვული კონფლიქტის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემოთხვევა

მოკლეს კაცი-ჭამია ვეფხვი

დელი. ხანგრძლივი და მომჭანცველი ძებნის შემდეგ მონადირეთა სპეციალურმა ჯგუფმა მიაგნო და მოკლა კაციჭამია ვეფხვი, რომელიც თავზარს სცემდა ინდოეთის ასამის შტატის სოფელ ქამაქშის მცხოვრებლებს. მტაცებლის მსხვერპლი გახდა შვიდი კაცი. ღამღამობით იგი სოფლის ქუჩაში გამოჩნდებოდა ხოლმე, შუკებში შედიოდა და შემდეგ იოლად დაადწევდა თავს მდევრებს. როგორც გამოირკვა, ვეფხვს თათზე ჭრილობა ჰქონია. ალბათ, ამან გააბოროტა ვეფხვი და აიძულა ადამიანის მტერი გამხდარიყო.

სტიქია მძვინვარებს

უჩვეულო გრიგალი

სან-ფრანცისკო. წინასწარი მონაცემებით, 100 მილიონ დოლარად არის შეფასებული მატერიალური ზარალი, რომელიც კალიფორნიას მიაყენა უჩვეულო გრიგალმა. მან გასულ კვირაში ათასზე მეტი საცხოვრებელი ბინა დაანგრია ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროებზე. ბევრი სანაპირო რაიონი უბედურების ზონად არის გამოცხადებული, ასობით ოჯახი გაბიზნეს.

ქარის ძალა დროდადრო საათში 150 კილომეტრს აღწევდა, ხოლო ოკეანის მოქცევის ტალღათა სიმაღლე — 6 მეტრს. როგორც კალიფორნიის ტელევიზია იუწყება, დაიღუპა 11 კაცი.

გმობენ მილიტარისტულ დოქტრინებს

ნიუ-იორკი. მიუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიუროს სხდომაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა, ინდოეთის დელეგაციამ მიუმხრობის მონაწილე სახელმწიფოთა განსახილველად შეიტანა ორი დოკუმენტის — პოლიტიკური და ეკონომიკური დეკლარაციების პროექტები.

პოლიტიკური დეკლარაციით პროექტში კატეგორიულად დაგმობილია მილიტარისტული დოქტრინები, კერძოდ, ეგრეთ წოდებული „შეზღუდული“ ბირთვული ომის დოქტრინა, რომლებითაც შეიარაღებულია დასავლეთის ყველაზე რეაქციული წრეები, ხოლო აგრესიული კურსი, რომელსაც ისინი ადგანან, დაგმობილია, როგორც „ბირთვული ტერორიზმი“. თანამედროვე სამყაროში არ არის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ალტერნატივა, ხაზგასმულია დოკუმენტში. მასში გამოთქმულია რწმენა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ საყოველთაო. და სრული განიარაღების საფუძველზე. დოკუმენტი მოუწოდებს გაყინონ ბირთვული იარაღის სისტემების წარმოება, დაგროვება და განლაგება, დაუყოვნებლივ განაახლონ მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების რაც შეიძლება სწრაფად შემუშავებისა და დადების მიზნით.

პოლიტიკური დეკლარაციის პროექტში გადაჭრით დაგმობილია იმპერიალიზმის ნეოკოლონიალისტური კურსი, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სუვენერულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას, იმას, რომ ხელი შეუშალონ ჩაგრულ ხალხებს განახორციელონ თვითგამოკვეთისა და დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება.

ბირთვულ და სხვა დარგებში სამხრეთ აფრიკის რასისტებთან დასავლეთის სახელმწიფოების თანამშრომლობა, რომელიც კვლავ გრძელდება, აღნიშნულია დოკუმენტში, აქვეს ბანი აპარტეიდის რეჟიმს განახორციელოს სახელმწიფო ტერორიზმის აქციები აფრიკის მეზობელი ქვეყნების მიმართ.

გადაჭრით დაგმობილია ის, რომ დასავლეთის იმპერიალისტური წრეები მასირებულ სამხედრო, ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევენ ტელ-ავივს. მშვიდობა და უშიშროება რეგიონში, აღნიშნულია პროექტში, შეიძლება დამკვიდრდეს მხოლოდ იმის შედეგად, თუ მთლიანად და უპირობოდ გაიყვანენ ისრაელის ჯარებს არაბეთის ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან და გადაწყდება პალესტინის პრობლემა, რაც ახლო აღმოსავლეთის პრობ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

დაუვიწყარი შეხვედრები

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით მეგობრული ურთიერთობა დამყარდა გეორგიევსკის № 5 და ზუგდიდის № 103 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შორის.

ჯერ კიდევ შარშან, გაზაფხულზე ეწვივნენ გეორგიევსკელები ზუგდიდს და სასწავლებლის ტერიტორიაზე გაშენდა მეგობრობის ხეივანი — დაირგო 200 ძირი ლიმონი, ხოლო სასწავლებლის წინამდებარე ქუჩას — გეორგიევსკის ქუჩა ეწოდა.

სწორედ იმ დღეებში გაფორმდა მეგობრობის ხელშეკრულება ამ ორ სასწავლებელს შორის. სტუმრებმა აქ ყოფნისას დაათვალიერეს ენგურჰესი, ზუგდიდის ენგურქიმალდგამნილი, ფაიფურის ქარხანა, ბოტანიკური ბაღი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნაობანი. ახლახან კი ზუგდიდელი მოსწავლეები ეწვივნენ გეორგიევსკს. ძალზე გულთბილი და საინტერესო იყო ეს შეხვედრა. მასპინძლებმა გადმოგვცეს მოსალმების ადრესი, ჩვენ კი სასწავლებელს საზეიმოდ ვუსახსოვრეთ ზუგდიდელი მხატვრის გ. გეთიას გრაფიკული ნამუშევარი „ნალიმა“, რომელიც სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნა ავტორმა. გვირგვინებით შეეკამკეთ ვ. ი. ლენინის ძეგლი და შინმოსულ ცხოვრების აქტუალურ საკითხებში, უფრო ღრმად სწვდებიან ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის არსსა და მიზნებს.

ახლახან გაიმართა სკოლის კურსდამთავრებულთა მორიგი გამოშვება. 29 მსმენელს მიეცა სათანადო მოწმობა და ისინი უკვე შეუდგნენ ლექციების წაკითხვას რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. **(„კომუნისტის“ კორ.).**

ხანგრძლივი რომ ვიყოთ

ცნობილია რომ ჩვენი საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებამ მიიძვნეოვნად მომაცია ადამიანის ფიზიკური დატვირთვა, რაც ერთნაირად საშიშია როგორც ჯანმრთელი, ისე დაავადებული ორგანიზმისათვის. ამიტომ ერთდროულად თითოეული ჩვენგანის მოძრაობის პრობლემის გადაწყვეტა ორგანიზმის პროფილაქტიკასა და მკურნალობას გულისხმობს.

მრავალმა ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისნარჩუნებისა და ჯანრეგენერაციისათვის აუცილებელია ‘ბუნებრივი მოქმედება, რადგან მოძრაობის შეზღუდვა მეტნაკლებად ყველა ორგანოთა სისტემაზე მოქმედებს უარყოფითად და ჯერ ფუნქციურ, შემდეგ კი ორგანულ ხასიათის დარღვევებს იწვევს.

როდესაც იწყება მსჯელობა იმაზე, რომ ადამიანმა დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა შეასრულოს ამა თუ იმ ხასიათის ფიზიკური დატვირთვა, ზოგიერთი თავის გამართლების მიზნით ამის საწინააღმდეგო არგუმენტებს ასახელებს (სამსახური, სამუშაოს ხასიათი, შემოქმედებითი მოღვაწეობა და სხვ), ცხადია, ყოველივე ეს ჩვენი უმოქმედობის გასამართლებლად მიზეზების ძებნაა და მეტი არაფერი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კუნთური მოქმედების შემცირება. ერთი სიტყვით, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ასაკში პრაქტიკულად, ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა დაიტვირთოს თავი ორგანიზმისათვის აუცილებელი მოძრაობით და ამით შეინარჩუნოს მისი ფუნქციური მდგომარეობა, მაგალითად, დადგენილია, რომ თუ ბავშვები 12-13 წლის ასაკამდე არ ღებულობენ ორგანიზმისათვის საჭირო კუნთურ დატვირთვას, მოსალოდნელია მათი ზოგიერთი ორგანოს სისტემებში (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვ.) ამა თუ იმ პათოლოგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რასაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად არ თვალისწინებენ მშობლები. ამის გამო, ბევრი მშობელი არც ცდილობს ბავშვი სისტემატურად ვარჯიშობდეს, არ აცდენდეს სწავლის პროცესში ფიზკულტურის გაკვეთილს, დადიოდეს სპორტულ ჯგუფში და სხვა, ჩვენ მოზარდის ორგანიზმის სუსტი ფიზიკური განვითარების მოწმენი ვხდებით.

კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ ის ბავშვები, რომლებთაც აღენიშნებათ ნაადრეი ფიზიკური განვითარება და სქესობრივი მომწიფება — აქსელერაცია. მათი ორგანიზმის ზრდა-განვითარების რეგულაციისათვის ფიზიკურ ვარჯიშს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი განეკუთვნება. ფიზიკური ვარჯიში საკალდებულოა აგრეთვე იმ ბავშვებისათვის, რომელთაც სხვადასხვა ხასიათის ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტის და სხვ.) ნიშნები ან კიდევ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (ენდოკრინული სისტემის) ფუნქციის მოშლა აქვთ. ამაზე, სამწუხაროდ, ძალიან გვიან იწყებენ შობლები ყურადღების გამახვილებას.

ამგვარად, მოძრაობამ დღიდან ბავშვის დაბადებისა, ფიზიკურმა ვარჯიშმა სასტანო ადგილი უნდა დაიკავოს მისი ზრდა-განვითარების პროცესში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბავშვების ჯანრთველობა სხვა ფაქტორებთან ერთად ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ყურადღებას უთმობდა დედა ორსულობის პერიოდში ფიზიკურ დატვირთვას, უწინარესად კი ფეხით სიარულს.

ყოველივე ზემოთქმულის პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს შობლების, პედაგოგებისა

ოჯახის რელიკვია

ერთი ფოტოსურათის ამბავი

ვლადიმერ ზაქარაიამ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მიშა გობეჩიიამ და ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ფელიქს ძერჟინსკი საგანგებო დავალებით ყოფილა საქართველოში ჩამოსული. იგი ამოწმებდა ამერკავკასიაში პარტიული კომიტეტების მუშაობას. კერძოდ, შეამოწმეს ზუგდიდის მაზრაში პარტიული მუშაობის მდგომარეობა. მოგეხსენებათ, მაშინ მეტად რთული პერიოდი იყო. საბჭოთა ხელისუფლების მტრები, მენშევიკები და კონტრრევოლუციონერები განდიტურ თავდასხმებს აწყობდნენ პარტიულ მუშაკებზე, მოსახლეობაზე, ცდილობდნენ არეულობა გამოეწვიათ მაზრაში.

მახსოვს, ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს უშიშროების თანამშრომლის გერმანე ჯინჯოლიას მცირეწლოვანი ბავშვი და მის მეუღლეს ხელი მოტეხეს. ასეთი თავდასხმები არაერთი იყო, პარტიული მუშაკები ყაჩაღებს სდევნიდნენ, მათ ებრძოდნენ. ფელიქს ძერჟინსკი დაინტერესდა შექმნილი ვითარებით, გაეცნო ბანდიტებთან ბრძოლის მეთოდებს, როგორი იყო მოსახლეობის განწყობილება. საქმიანი შეხვედრის შემდეგ, მეორე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ზუგდიდის ღირსშესანიშნაობანი. დადიანის სასახლე-მუზეუმი, პრინცი მიურატის ყოფილი მამული სოფელ ჭკადუაშში. ფელიქს ძერჟინსკის ძალიან მოსწონებია ჩვენი ქალაქი და სიამოვნებით დასთანხმებია მასპინძელთა თხოვნას სამახსოვრო ფოტოსურათი გადაეღო მათთან ერთად.

ეს სურათი ზუგდიდელმა ფოტოგრაფმა ლავრენტი საბახტარაშვილმა გადაიღო. სურათზე აღბეჭდილი არიან ფელიქს ძერჟინსკი (იგი მაზარამოხვეული ცენტრში, პირველ რიგში ზის — მარცხნიდან მეორე), მეორე რიგში (მარცხნიდან მესამე) სერგო ორჯონიკიძე, ფოტოზეა — ნესტორ ლაკობა, ვანო სტურუა, გ. როგავა, გ. ჯინჯოლია, ჯ. ჩიჩუა, ი. ცხაკაია, ბ. აფაქიძე, ვ. ზაქარაია, მ. გობეჩია და სხვები.

მალე სტუმრები ზუგდიდიდან გაემგზავრნენ. მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი ვანო ჩხეიძე კარგი მუშაობის ნიშნად მსუბუქი ავტომანქანით დააჯილდოვეს.

ქალბატონმა თამარმა დიდი სიყვარულით მიჩვენა შვილების, შვილიშვილებისა და ბებიშვილების ფოტოსურათები. ეს ფოტოსურათი კი ოჯახის ძვირფასი რელიკვიაა და მას სასოებით ინახავენ.

ლ. ხუბულური.

სატურნირო ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დორტმუნდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საველდებულო პროგრამით მოასპარეზეთა შორის საუკეთესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ელენე ოდორეზოვა. იგი ამ სახეობაში ოქროს მცარე მედალს დაეუფლა. მეორე იყო კატარინა ვიტი (გდრ), მესამე — სანდრა კარიბონი (შვეიცარია).

ჩოგბურთი. შვეიცის ქალაქ უფსალაში დამთავრდა სამეფო თასის გათამაშება (ევროპის ვაჟთა გუნდური ჩემპიონატი), რომლის დასკვნითს ეტაპში მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის ნაკრები კოლექტივები. ნახევარფინალურ შეხვედრებში გერმანელებმა დაამარცხეს შვედები (2:1), ჩეხოსლოვაკიელებმა — ინგლისელები (2:1). ფინალში გერმანელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს (2:1) და პირველი ადგილი დაიკავეს.

ბიატლონი. ქალაქ რუპოლდინგში (გფრ) დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში (4X7,5 კილომეტრზე ესტაფეტა) პირველობა მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ხოლო მესამეზე — სსრ კავშირის სპორტსმენები.

კალათბურთი. გრძელდება უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ მორიგი კალენდარული ტატჩების შედეგებს: ლენინგრადის „სპარტაკი“-თბილისის „დინამო“ — 107:69 (44:42), რიგის ვეფი-კაუნასის „ჟალგირისი“ —110: 100 (53:48).

საფეხბურთო კალენდარი

თასები და სნაიპერები

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასების გათამაშების მონაწილე გუნდებმა განვლეს ორ-ორი წრე, უეფას თასის გათამაშების მონაწილეებმა — სამი. რომელმა თავდასხმელებმა გამოიჩინეს თავი ამ შეჯიბრებებში? ჩემპიონთა თასზე ჯერჯერობით საუკეთესო სნაიპერია შოუ (ბირმინგემის „ასტონ ვილა“) — 5 ბურთი. 4-4 გოლი გაიტანეს „ოქროს ბურთის“ ახლანდელმა მფლობელმა როსიმ (ტურინის „იუვენტუსი“), კრანკლმა (ვენის „რაპიდი“) და ურალდემ (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“), თასების მფლობელთა თასზე 5-5 ბურთი გაიტანეს მარადონამ და შუსტერმა (ორივე — „ბარსელონა“). უეფას თასის გათამაშებაში 6 ბურთით ყველაზე შედეგიანია ეირესი (ბოროდოს „ჟირონდა“), 5-5 ბურთი გაიტანეს ნენემ (ლისაბონის „ბენფიკა“), მურმანიმა („სარაევო“) და ბრიგელმა („კაიზერსლაუტერნი“).

ვარსკვლავები დაჩრდილა

იტალიის კლუბებს, როგორც ცნობილია, ნება აქვთ ორ-ორი უცხოელი იყოლიონ. მათი უმეტესობა ახლა, შეიძლება ითქვას, ვერ ამართლებს იმედებს. როგორც „გაზეტა დელო სპორტი“ იუწყება, უცხოელებს შორის ამჟამად უძლიერესია არა ბერტონი, პასარეა, პლატინი ან ფალკაო, როგორც ბევრი მოელოდა, არამედ პერუელი ურიბე. ამ ფეხბურთელისაგან მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირ სასწაულებს ელოდნენ, მაგრამ მას ესპანეთში თავი არ გამოუჩენია. ახლა კი „ვერონის“ შემადგენლობაში ურიბე ბრწყინვალედ თამაშობს და ყველა „ვარსკვლავი“ დაჩრდილა.

ფოტოინფორმაცია

სტუმრად მეგობრებთან

ჯანიოში მიმდინარეობს საბჭოთა და ვიეტნამელი ახალგაზრდობის მეგობრობისა და სოლიდარობის შეხვედრა. შეხვედრის მონაწილემ, მხოფლიო ჩემპიონმა ბოდრაკში მაია ჩიბურდანიძემ (სურათზე) ერთდროულად თამაშის სეანსი გამართა ვიეტნამის დედაქალაქის 16 მოჭადრაკესთან.

(ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ხაჯდენის ტელეფოტო).

მშვენიერებასთან წილნაყარი გავშვიდა

ცხაკაია. (ხაკ. კორ.). ამ უკანასკნელ ხანს რაიონში ბევრი რამ კეთდება მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გააქტიურებისა და კულტურის ახალი კერების შექმნისათვის. ამის დამადასტურებელია თუნდაც საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ცხაკაიას ფილიალის სურათების გალერეა, რომელიც პარტიის რაიკომის ინიციატივით, მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით ამ ოთხიოდე წლის წინათ გაიხსნა და ნაყოფიერადაც მუშაობს. აქ სისტემატურად იმართება გამოჩენილი ქართველი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენები.

სწორედ ამ გალერეის ბაზაზე 1979 წელს დაარსდა რაიონის ოთხწლიანი საბავშვო სამხატვრო სკოლა. აქ ძირითადად, 11-12 წლის ნიჭიერ, ხელოვნების მოყვარულ ბავშვებს იღებენ, რომლებსაც გამოცდილი პედაგოგები აზიარებენ ფერწერის, გრაფიკის, ლითონმჭედლობის ხელოვნებას, ეხმარებიან საკუთარი ხელწერის გამომუშავებაში.

ახლახან სკოლის 67 მოსწავლის 140 ნამუშევარი გამოფინეს სურათების გალერეაში. დამთავალიერებლები ინტერესით გაეცნენ გ. ღაჭავას, გ. ჯოჯუას, ზ. გაბელიას, მ. ალანიას, გ. ფიფიას, ხ. ბებიას, ბ. საჯაიას, კ. ჭანტურიას და სხვათა ნატურმორტებს, მშობლიური კუთხის პეიზაჟებს, პორტრეტებს, ქანდაკებებს, ორნამენტებს.

— ჩვენი სკოლა, — გვითხრა მისმა დირექტორმა ა. გაბარიამ, — წლევანდელ გამოფენებს ‘ბოლო ნაკადს. ეს გამოფენაც ჩვენ მიერ ამ ოთხიოდე წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის ერთგვაროვი დათვალიერება-შემოწმებაა, ანგარიშის ჩაბარებაა. ვფიქრობთ, ახლო მომავალში ბევრად გავაუმჯობესებთ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. საქმე ის არის, რომ რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით სკოლამ შარშან ახალი, ცალკე შენობა მიიღო, სადაც სწავლების ყველა პირობა არის შექმნილი.

გავა წლები. იქნება ამ გამოფენის ზოგიერთი მონაწილე მომავალში სახელგანთქმული ხელოვანიც გახდეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათ არასოდეს დაავიწყდებათ ამ სკოლაში გატარებული, მშვენიერებასთან წილნაყარი ბავშვობის წლები, ის პედაგოგ-მასწავლებლები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს მათი დაოსტატებისათვის.

რ. რუსია.

ლექტორთა მორიგი გამოშვება

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნასთან“ არსებობს საერთაშორისო ურთიერთობის და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიის შემსწავლელი ერთწლიანი სკოლა (დირექტორი — პროფესორი ი. ტაბაღუა). აქ გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტების ხელმძღვანელობით სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა მუშაკები იღრმავებენ ცოდნას თანამედროვე საერთაშორისო

მოძრაობა აუცილებელია, მაგრამ როგორი?

ჯანმრთელი ადამიანის ფიზიკური დატვირთვა ეწინააღმდეგება ფიზიკურ დატვირთვას (ვარჯიშს) ადამიანისათვის სხვა ასაკობრივ პერიოდშიც. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ღებულობენ სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ყველგან შეიქმნას ჯანმრთელობის ჯგუფები, კოლექტივები. თვალსაჩინოდ უნდა გაფართოვდეს გამაჯანსაღებელი ფიზკულტურული (საწარმოო ტანვარჯიში, ფიზკულტწუთი და სხვ.) მუშაობა წარმოება-დაწესებულებებში, მათი მუშაობის შეფასების დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ როგორ ზრუნავენ მშრომელთა ჯანმრთელობაზე და რა ღონისძიებები ხორციელდება ამ მხრივ. ერთი სიტყვით, ფიზიკურმა კულტურამ საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს თითოეულის ცხოვრებასა და ყოფაში. განსაკუთრებით კი იმათ შორის, ვინც გონებრივ შრომას ეწევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური ვარჯიშით მეცადინეობა მაშინ არის უფრო ეფექტიანი, როდესაც იგი ფიზკულტურის სპეციალისტის ხელმძღვანელობით კოლექტიურად (ჯგუფურად) ტარდება. დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად პროფილაქტიკას გულისხმობს, სწორედ ამიტომაც არის, რომ სამამულო მედიცინის მთავარი მიმართულება პროფილაქტიკურია.

თანამედროვე მედიცინაში დღეს წარმოუდგენელია ავადმყოფობის მკურნალობა და პროფილაქტიკა, თუ პერიოდულად გამოყენებული არ არის ფიზიკური ვარჯიში. სადღეისოდ მედიცინა ისახავს მიზნად კომპლექსური სამედიცინო ღონისძიებების გზით ავადმყოფს აღუდგინოს არა მარტო ჯანმრთელობა, რამედ სრულად ან ნაწილობრივ მაინც დაუბრუნოს მას შრომისუნარიანობა.

სამკურნალო ფიზკულტურა, უპირველეს ყოვლისა, დოზირებულ ფიზიკურ დატვირთვას გულისხმობს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ავადმყოფის მიერ სათანადო მოძრაობის რეჟიმის გამომუშავებას. ამავე დროს ავადმყოფის მოძრაობის რეჟიმი რაციონალურად უნდა შეეფუხამოთ ბლეობაზე, ცდილობდნენ არეულობა გამოეწვიათ მაზრაში.

ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს უშიშროების თანამშრომლის გერმანე ჯინჯოლიას მცირეწლოვანი ბავშვი და მის მეუღლეს ხელი მოტეხეს. ასეთი თავდასხმები არაერთი იყო, პარტიული მუშაკები ყაჩაღებს სდევნიდნენ, მათ ებრძოდნენ. ფელიქს ძერჟინსკი დაინტერესდა შექმნილი ვითარებით, გაეცნო ბანდიტებთან ბრძოლის მეთოდებს, როგორი იყო მოსახლეობის განწყობილება. საქმიანი შეხვედრის შემდეგ, მეორე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ზუგდიდის ღირსშესანიშნაობანი. დადიანის სასახლე-მუზეუმი, პრინცი მიურატის ყოფილი მამული სოფელ ჭკადუაშში. ფელიქს ძერჟინსკის ძალიან მოსწონებია ჩვენი ქალაქი და სიამოვნებით დასთანხმებია მასპინძელთა თხოვნას სამახსოვრო ფოტოსურათი გადაეღო მათთან ერთად.

ეს სურათი ზუგდიდელმა ფოტოგრაფმა ლავრენტი საბახტარაშვილმა გადაიღო. სურათზე აღბეჭდილი არიან ფელიქს ძერჟინსკი (იგი მაზარამოხვეული ცენტრში, პირველ რიგში ზის — მარცხნიდან მეორე), მეორე რიგში (მარცხნიდან მესამე) სერგო ორჯონიკიძე, ფოტოზეა — ნესტორ ლაკობა, ვანო სტურუა, გ. როგავა, გ. ჯინჯოლია, ჯ. ჩიჩუა, ი. ცხაკაია, ბ. აფაქიძე, ვ. ზაქარაია, მ. გობეჩია და სხვები.

მალე სტუმრები ზუგდიდიდან გაემგზავრნენ. მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი ვანო ჩხეიძე კარგი მუშაობის ნიშნად მსუბუქი ავტომანქანით დააჯილდოვეს.

ქალბატონმა თამარმა დიდი სიყვარულით მიჩვენა შვილების, შვილიშვილებისა და ბებიშვილების ფოტოსურათები. ეს ფოტოსურათი კი ოჯახის ძვირფასი რელიკვიაა და მას სასოებით ინახავენ.

ლ. ხუბულური.



ინდოგლოგა გამოუცხადეს

ქუთაისის მუსხელიშვილის საბელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საგამოცდო სესია მიმდინარეობდა. ერთ-ერთ აუდიტორიაში დაუსწრებელ სტუდენტებს ცდიდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე უ. ვ. ამბროლაძე და ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი ო. მ. ბენიძე.

როგორც ჩანს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას თავისი მოსაზრება ჰქონდა იმის თაობაზე, თუ რაოდენ ხარისხოვნად და ობიექტურად მოწმდებოდა ზოგიერთი სტუდენტის მომზადება. ყოველ შემთხვევაში, ორი მათგანი, რომელთა ცოდნაც ისინის იყო დადებითად შეაფასეს ზემოთ მოხსენებულმა მასწავლებლებმა, სხვა აუდიტორიაში მიიწვიეს. სპეციალურმა კომისიამ მოისურვა უფრო ახლოს გასცნობოდა სტუდენტებს, ამასთან გაეგო ისიც, როგორ იცით საგანი, რომელიც სულ ახლახან წარმატებით ჩაბარეს.

საუბარზე მოიწვიეს მესამე კურსის დაუსწრებელი სტუდენტი — თბილისის „ინდკერვის“ №5 ატელიეს მუშაკი მ. კიკვაძე და დიასახლისი კ. კრიხელი. კომისიის წევრები ამოდ ცდილობდნენ გამოერკვიათ, რა კითხვები შეხვდათ მათ გამოცდაზე ან როგორ უპასუხეს ამ კითხვებზე. სტუდენტების ახსნა-განმარტება ამდენად ბუნდოვანი იყო, რომ კომისია დაინტერესდა უფრო მარტივი საკითხით: იცით კი მათ, რა გამოცდა ჩაბარეს ცოტა ხნის წინათ? რაოდენ დიდი იყო კომისიის წევრთა გაკვირვება, როცა ამ ორმა ვაი-ალტუნტმა ვერაფერ ვერ უპასუხა ამ შეკითხვაზე, აუდიტორიაც კი ვერ დაასახელა, რომელიც გამოცდას აბარებდნენ.

დამახასიათებელი დეტალი: ამ დღეს უ. ამბროლაძემ და ო. ბენიძემ გამოსცადეს კიდევ 14 სტუდენტი — ქუთაისის საავტომობილო და მექანიკური ქარხნების მუშები. ყველა ისინი, როგორც ერთი, „ჩაიკრნენ“. საეჭვოა სანუგეშო იყოს მათთვის ის, რომ „დადებითად შეფასებულ“ სტუდენტთაგან განსხვავებით ზუსტად იცოდნენ, სად, ვის და რა გაშოცდა ჩაბარეს.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა გამოცემულ ბრძანებაში მიიჩნია, რომ მასწავლებლების უ. ამბროლაძისა და ო. ბენიძის ქცევა შეუთავსებელია, მათ აღმზრდელობითს ფუნქციებთან. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ორივენი გაათავისუფლეს ინსტიტუტიდან.

მათ ეს გადაწყვეტილება სასამართლო წესით გაასაჩივრეს, მაგრამ ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ, შემდეგ კი რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ უარყვეს მათი საჩივარი.

ქუთაისის მუსხელიშვილის საბელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის გადაწყვეტილება არათუ უეჭველად კანონიერი, არამედ ყოველ მხრივ მოსაწონიცაა. საიდუმლო არ არის, რომ ასეთი ფაქტები ზოგჯერ ხდება ჩვენს სასწავლებლებში, და ამან არ შეიძლება არ შეაშფოთოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

ყოველ ასეთ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან გამოარკვიონ, სამეგვაქეს მასწავლებლის ეთიკის დარღვევასთან თუ ანგარებიან დაინტერესებასთან. (საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

8 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მეგზეკენო! 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.45 — მხატვრული ფილმი „გენერალ შუბნიკოვის კორპუსი“. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „შრი ლანკა — კუნძული ოკეანეში“. კინონარკვევი. 16.15 — შრი ლანკის რესპუბლიკის მოცეკვავეთა ეროვნული ანსამბლის კონცერტი. 16.45 — ს. გუძენკოს პოეზია. 17.20 — ტ. ხრენნიკოვის ბალეტის „სიყვარული სიყვარულისათვის“ მუსიკის ფრაგმენტები. 17.50 — მხიარული სტარტები. 18.35 — საშადრაკო კოლა. 19.05 — **მილეთინთა ლენინური უნივერსიტეტი.** ნედლეულისა და მატერიალური რესურსების ეკონომია. 19.35 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ფილმი „როცა სიცრუის ჯანღი იფანტება“. 20.40 — ევროპის ჩემპიონატი ფიგურული ციგურაობაში. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ტელეფილმი „სახელოვანი № 877“. ციალიდან „ჩეხოვის კვალდაკვალ“. 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 21.45 — დოკუმენტური. ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — ლ. ნ. ტოლსტოი — „მეჯლისის შემდეგ“. მე-8 კლასი. 10.05 და 14.15 — უსპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ა. მ. გორკი — „ფდეა“. 11.35 — და 12.35 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.00 — ფდდის სკოლა. 13.00 — ისტორია. მე-7 კლასი. 12.30 — ჩ. დიკენსი. ცხოვრება და შემოქმედება. 14.45 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „საჩუქრები ტელეფონით“. 16.20 — ახალი ამბები. 19.30 — სსრ კავშირის თასი სათხილამურო სპორტში. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ადამიანი და კანონი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „გრაფინია დე მონსორო“. მე-4 და მე-5 სერია.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშური ესტაფეტა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოუდნი“. 10.45 — მხატვრული ფილმი „გენერალ შუბნიკოვის კორპუსი“. (მ.). 12.10 — კინოჟურნალი — „ვარსკვლავა № 29“. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „პირველი ბავშვობიდან იწყება“. 15.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, მიწა, პური“. 16.05 — შვევსწავლოთ ფრანგული ენა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის „ჩვენი თვითმოქმედება“. 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმები: „ზღაპარი კეთილ ექიმზე“, „ნასწავლი მეთევზეები“. 18.00 — „ფლერის ნუნუ გაბუნია“. 18.30 — „ამაგდარი“ ლ. გოშაძე. 19.05 — „მილეთინთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „დილის მუსიკა“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“ — „ცოდვის შვილები“. 21.35 — ქართული ხალხური სიმღერები. 22.00 „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ნარინჯის ველი“. დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიტმი, რიტმი, რიტმი“. 17.30 — მოსწავლეთათვის — ქიმია. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზზიანი მხარის პალიტრა“. 18.25 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი — „კონტაქტი“

ფილარმონია

8 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (მე-6 აბონ. მე-10 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი. შეშლილი ახალი წელი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო; მინიატიურების სახელმწიფო — ახალ ბანას გილოცავთ; მეტეხის თეატრი — ეძიებდე.

ფილარმონია

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბერმუხა“ და როკ-ჯგუფი „ჯუკ-ბოქსი“ (დიდი საკონცერტო დარბაზი); საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07421 საქართველოს კპ ფკ.ის ბაკინოვეჯლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. სტამბათა კორპუსი, ზოვარაულის 29.